საქართველო. ახმეტის მუნიციპალიტეტის
ს ა კ რ ე ბ უ ლ ო

ქ. ახმეტა ,, 11” აპრილი , 2011 წ.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება
№38
ქ. ახმეტაში მცხოვრებ ბესარიონ მათურელის ადმინისტრაციული საჩივრის შესახებ

,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე, 97-ე მუხლების და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2011 წლის 18 მარტის №38848 წერილის საფუძველზე ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. უარი ეთქვას ბინათ მესაკუთრეთა ამხანაგობის ,,ქ. ახმეტა, რუსთაველის ქ. №60“ -ის თავმჯდომარეს ბესარიონ მათურელს ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტების 2011 წლის 28 იანვრის №32 და 2011 წლის 31 იანვრის №39 მიმართვების ბათილად ცნობის შესახებ.
2. დაევალოს საკრებულოს აპარატს განკარგულება გააცნოს დაინტერესებულ მხარეებს.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თელავის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. თელავი, აღმაშენებლის №41)

ახმეტის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარe: ალექსი მაილაშვილი

0900 ქ. ა ხ მ ე ტ ა , ☎ +995 249 2-22-99 ფ ა ქ ს ი : +995 250 7-64-87
ჩ ო ლ ო ყ ა შ ვ ი ლ ს ქ . № 49 +995 249 2-15-29 +995 249 2-15-17
ელ-ფოსტა: akhmeta.sakrebulo@yahoo.com